

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა აკაკი შანიძემ, გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

ნორმის პროექტის ახალი რედაქცია 2019 წელს შეიმუშავა **ქეთევან დათუაშვილმა**.

წინამდებარე პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (01.07.2019).

პროექტი დამტკიცებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის სხდომაზე (02.08.2019).

წოდებითი ბრუნვის ფორმა

საზოგადო სახელებთან წოდებითი ბრუნვის ნიშანი ძველ ქართულში იყო -ო. იგი დღესაც უცვლელად არის წარმოდგენილი ბოლოთანხმოვნიან სახელებთან: **კაც-ო, სახლ-ო, მეგობარ-ო** და სხვ.; ხმოვნით გათავებულ ფუძეებთან კი წოდებითის -ო იქცა **ვ**-დ ან სულ დაიკარგა. ამიტომ მივიღეთ პარალელური ფორმები: **დედა-ვ** და **დედა, მებაღე-ვ** და **მებაღე, წყარო-ვ** და **წყარო** და სხვ.

რაც შეეხება ადამიანთა საკუთარ სახელებს, არც თანხმოვანფუძიანებს და არც ხმოვანფუძიანებს წოდებით ბრუნვაში ნიშანი თავიდანვე არ ჰქონდა და ისინი დღესაც უნიშნოდ არის წარმოდგენილი: **დავით! ვახტანგ! პეტრე! გიორგი!** ამ სახელებთან ზოგჯერ გვხვდება ბრუნვისნიშნის ვარიანტები: ხმოვანფუძიანებთან -**ვ** ნიშნისანი (**პეტრე-ვ, გიორგი-ვ...**) და თანხმოვანფუძიანებთან -**ო** ნიშნისანი (**დარეჯან-ო, ქეთევან-ო...**). ამგვარი ფორმები დიალექტურია.

თანამედროვე ქართულ სასაუბრო მეტყველებაში (აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურაში) ადამიანთა საკუთარ სახელებთან წოდებითის ფუნქციით საკმაოდ ხშირად გამოიყენება სახელობითი ბრუნვის ფორმები (**ნოდარი! გურამი! თენგიზი! ეთერი!**), რაც სავსებით უმართებულოა სალიტერატურო ენის თვალსაზრისით.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, წოდებითი ბრუნვის ფორმათა წარმოებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. საზოგადო სახელების წოდებითი იწარმოება შემდეგნაირად:

1. 1. ბოლოთანხმოვნიანებს უნდა დაერთოს -**ო** ნიშანი: მაგ.: **თავ-ო, კაც-ო, მეგობარ-ო, წყალ-ო, სახლ-კარ-ო** და სხვ.

1. 2. ბოლოხმოვნთან ორ- და მეტმარცვლიან სახელებთან დასაშვებია პარალელური ფორმები: **ვ-ნიშნით ან უნიშნოდ** (ე. ი. ფუძის სახით). მაგ.: **მიწა-ვ** და **მიწა**, **ქვეყანა-ვ** და **ქვეყანა**, **მებაღე-ვ** და **მებაღე**, **წყარო-ვ** და **წყარო**, **სამშობლო-ვ** და **სამშობლო**, **ძუძუ-ვ** და **ძუძუ** და სხვ.

1. 3. ერთმარცვლიან ბოლოხმოვნთან სახელებს უნდა დაერთოს **-ო** ნიშანი: **ძმა-ო**, **და-ო**, **მთა-ო**, **მზე-ო**, **ხბო-ო**, **ყრუ-ო** და სხვ.

შენიშვნა: ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით პოეზიაში, დასაშვებია ორ- და მეტმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელები წოდებითში იხმარებოდეს **-ო** ნიშნითაც. მაგ.: **დედა-ო** („დედაო ღვთისავ! ეს ქვეყანა შენი ხვედრია“. – ილია; „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ“... – გალაკტიონი) და სხვ.; ამგვარი ფორმები მართებულია ასევე სასულიერო პირებისადმი მიმართვისას: **მამა-ო**, **დედა-ო**. გამოწაკლისის სახით დასაშვებია აგრეთვე ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელების წოდებითში **-ვ** ნიშნიანი ფორმები. მაგ.: **ძმა-ვ** („მართალია, ძ მ ა ვ, კაცს მოსწყინდება ძუწი ცხოვრება, ეს დასალონი...“ – ილია), **მზე-ვ** („მ ზ ე ვ, შინ შემოდიო!“ – ხალხური) და სხვ.

2. ადამიანთა საკუთარი სახელები წოდებითში უნდა იხმარებოდეს ბრუნვის ნიშნის გარეშე, ფუძის ფორმით: **გურამ! დავით! ეთერ! თენგიზ! ნოდარ! ელენე! ლუკა! ნუნუ! პეტრე!** და სხვ.

შენიშვნა 1. ქვემოთ ჩამოთვლილ ადამიანთა საკუთარ სახელებში ბოლოვიდური **-ი** ფუძისეულია და შერჩება სახელს ყველა ბრუნვაში, მაშასადამე, წოდებითში გვექნება: **აკაკი! ალექსი! გიორგი! დიმიტრი! ირაკლი! რატი! სერგი! ქუჯი!.. ლალი! ლილი! მერი! ნაწული! ნინელი!..**

შენიშვნა 2. ქვემოთ ჩამოთვლილ ადამიანთა საკუთარ სახელებში ფუძე თანხმოვან ბგერაზე ბოლოვდება და, მაშასადამე, წოდებითში უნდა იხმარებოდეს ამგვარად: **ხესიკ! გურამ! დავით! ეთერ! თამაზ! თენგიზ! მერაბ! ნოდარ! ოთარ! რამაზ! ჯემალ!...**

3. გვარები წოდებითში უნდა გაფორმდეს შემდეგნაირად:

3. 1. თუ გვარი ქართულია და ბოლოთანხმოვნის, უნდა დაერთოს **-ო** ნიშანი, მაშასადამე, მართებულია: **ბურდულ-ო**, **გომარ-თელ-ო**, **მჭედლიშვილ-ო**, **ცხვედიან-ო**, **წერეთელ-ო** და სხვ.

3. 2. თუ გვარი ქართულია და ბოლოვდება **-ძე**, **-ვა**, **-ია** და **-უა**-ზე, წოდებითში მას ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის. მაშასადამე, გვექ-

ნება: **ხაქრამე! ჭავჭავამე! ჭონქამე! გუგუნავა! კუპრავა! ნოდია! ხომ-ტარია! ჯაბუა!** და სხვ.

3. 3. თუ გვარი უცხოურია და თანხმოვანზე ბოლოვდება, უნდა დაერთოს **-ო: ბაირონ-ო – ბაირონ-ო! გრიბოდოვ-ი – გრიბოდოვ-ო! ლებედევ-ი – ლებედევ-ო! შექსპირ-ი – შექსპირ-ო!** და სხვ.

3. 4. თუ გვარი უცხოურია და ბოლოვდება **ი** ხმოვნით, წოდებით ბრუნვაში გამოიყენება უნიშნოდ. ფუძისეული ხმოვანი ქართულად გადმოტანისას შენარჩუნდება. მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს: **ბოტიჩელი – ბოტიჩელიმ, წოდ. ბოტიჩელი! ბუდიონი – ბუდიონიმ, წოდ. ბუდიონი! დოსტოვესკი – დოსტოვესკიმ, წოდ. დოსტოვესკი! ვერდი – ვერდიმ, წოდ. ვერდი! პაგანინი – პაგანინიმ, წოდ. პაგანინი! პავაროტი – პავაროტიმ, წოდ. პავაროტი! ტოლსტოი – ტოლსტოიმ, წოდ. ტოლსტოი!..**

4. პირისადმი მიმართვისას სავალდებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული გვარების წოდებითი ხმარება (**ასათიან-ო, გომართელ-ო, დავითაშვილ-ო...**), ხოლო სიაში ამოკითხვისას – სახელობითი (**ასათიან-ი, გომართელ-ი, დავითაშვილ-ი...**).

5. გეოგრაფიული სახელები წოდებითი უნდა გაფორმდეს ამგვარად:

5. 1. ბოლოთანხმოვნინებს უნდა დაერთოს **-ო; მაგ. გორ-ო, თბილის-ო, თერგ-ო, მტკვარ-ო, რიონ-ო, ქუთაის-ო** და სხვ.

5. 2. ბოლოხმოვნინებთან დასაშვებია როგორც **-ვ** ნიშნიანი, ისე უნიშნო ვარიანტები. მაგ.: **აბაშა-ვ და აბაშა, მცხეთა-ვ და მცხეთა, რაჭა-ვ და რაჭა, საჩხერე-ვ და საჩხერე, ონტოფო-ვ და ონტოფო...**

შენიშვნა. ამავე წესს მიჰყვება ცხოველთა საკუთარი სახელები: **ლაბა-ვ და ლაბა, ნიშა-ვ და ნიშა, ნიკორა-ვ და ნიკორა, შვინდა-ვ და შვინდა, ყურმა-ვ და ყურმა** და სხვ.

5. 3. თუ გეოგრაფიული სახელი უცხოურია და მისი ფუძე **ი**-ზე ბოლოვდება, წოდებითი იგი ბრუნვის ნიშანს არ დაერთავს. შესაბამისად, გვექნება: **დელი – დელიმ, წოდ. დელი! ტრიპოლი – ტრიპოლიმ, წოდ. ტრიპოლი!** და სხვ.

6. უცხოურიდან მომდინარე ტიტულები წოდებითის ნიშანს დაერთავს: **ბარონო! გრაფო! ვიკონტო! ლორდო! მარკიზო! მილორდო! ჰერცოგო!**

7. უცხოური **მადამ, მადმუაზელ, მესიე, მის, მისის, მისტერ, სერ, სინიორ, სინიორა, ფრაუ** და სხვ. წოდებითში (ისევე, როგორც ყველა სხვა ბრუნვაში) გაუფორმებლად დარჩება.

Ketevan Datukishvili

The Form of the Vocative Case

Summary

The paper deals with the question of normalizing the form of the vocative case in the modern Georgian literary language. We present the rules of marking the vocative case in the following nouns: vowel-base and consonant-base general nouns, given names and surnames (Georgian and foreign) and geographical names.